ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13251505**

თარიღი:**30/05/2025**

,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50-ე განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი'' საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შევიდეს ცვლილება ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50-ე განკარგულებაში და პირველ პუნქტს დაემატოს, „ჰ^{39}“, „ჰ^{40}“ და „ჰ^{41}“ პუნქტები შემდეგი რედაქციით:

,,ჰ^{39} ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება: ავტომობილი FORD TRANSIT - გამოშვების წელი 1997, სახ.# QV-373-VQ ;

ჰ^{40} ქალაქ ახალციხეში, ბექა ჯაყელის I ჩიხი N8-ს მიმდებარედ (ს/კ 62.09.60.518.) არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 70 კვ.მ.;

„ჰ^{41}“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება: ავტომანქანა UAZ 315143, გამოშვების წელი 2005, სახ. ნომერი CG-573-GC.''

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი